საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030152252724918

№ 01-1301/ო **19 / ნოემბერი / 2018 წ.**

პროექტის ,,ფიზიკური რეაბილიტაცია საქართველოში“ განხორციელების მიზნით ხელშემწყობი მმართველი საბჭოს შემადგენლობისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე

,,საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

მუხლი 1. ემორის უნივერსიტეტის (ატლანტა აშშ) და მისი პარტნიორი ორგანიზაციების, კორპორაცია ,,პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის“, თსსუ და კოალიცია ,,დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, მიერ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID-ის) პროექტის „ფიზიკური რეაბილიტაცია საქართველოში“ განხორციელების ხელშეწყობის მიზნით:

1. დამტკიცდეს:

ა) პროექტის „ფიზიკური რეაბილიტაცია საქართველოში“ ხელშემწყობი მმართველი საბჭოს შემადგენლობა (დანართი N1);

ბ) პროექტის „ფიზიკური რეაბილიტაცია საქართველოში“ ხელშემწყობი მმართველი საბჭოს საქმიანობის წესი (დანართი N2).

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო